1877—1895

№ 23

სამშაბათი, 31 იანვარი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 23

სამშაბათი, 31 იანვარი 1895

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა

**გამოფენის**

უკანასკნელი კვირა.

ჩვენის დროისათვის ორი უდიდესი საკვირველება

1) **ქონდრის კაცები**

ქვეყანაზედ უპატარესნი ცოლ-ქმარნი დედამიწის ზურგზედ

**მარკიზ ფოლგე**, შობიდგან 38 წლისა, სიმაღლით 28 დიუიმი, სიმძიმით $9^{1}/_{2}$ კილ.

**მარკიზა ლუიზა**, შობიდგან 28 წლისა, სიმაღლით 29 დიუიმი, სიმძიმით $0^{1}/_{2}$ კილ.

2) ცოცხალნი ბუნებრივაშეხორცებულნი ინდოეთელნი



ტყუპნი-დანი

**რადიკა და დოოდიკა**



ჩვენის დროისათვის ყველაზედ უდიდესი საკვირველება ბუნებისა

გამოფენა დაიკეტება სამშაბათს, 31 იანვარს, საღამოს 10 საათზედ.

გამოფენა ღიაა ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან საღამოს 10 საათამდის. ადგილების ფასი დაკლებულია: სკამები 20 კაპ., ფეხზედ დგომით 10 კაპ. ყმაწვილები 10 წლისაზედ ნაკლებნი და ჯარის-კაცნი იხდიან მხოლოდ ნახევარს ფასს.

(20—6.—20)

## როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სკოლები

(წერილი პირველი)

ყველამ ვიცით, რას წარმოადგენს დღეს სასოფლო სკოლა ჩვენში! ვიცით, რა უნუგეშო მდგომარეობაშია იგი, რა უღონო დაწესებულებაა! მაგრამ განა ისეთი უმნიშვნელო საგანია სკოლა და ისიც სასოფლო, სახალხო, რომ სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას, სრულიად არა ვცდილობთ იმის აღდგენა-წარმატებას!!. სასოფლო სკოლა დღეს ერთი უმთავრესი იარაღია ხალხის—ხალხად და კაცის—კაცად ქმნისა და ამიტომ არასოდეს მოგვეტევება მისი ასე დავიწყება...

მწერლობის წმიდა ვალია ცხოველმყოფელის სხივით მოჰფინოს იგი და, ვითარცა მზე სუსხიან დღეში, სანატრელი გაჰხადოს ყველასათვის. შეიძლება გულ-გრილნი ვიყვნეთ საზოგადო ცხოვრებისა, რომელი საგანიც უნდა იყოს, მაგრამ, მოზარდის თაობის სწავლა-აღზრდასა და სკოლას-კი ვერ მოვეპყრობით ასე, რადგან ამათ ხეირიანად წარმართვაზედ არის დამყარებული მთლად ჩვენი ბედი და უბედობა, მთლად ჩვენი იმედი და სასოება უკეთესის მომავალისა!..

სწავლა ჩვენს სასოფლო სკოლებში, მართალია, სამს წელიწადს გრძელდება, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წესიერი სწავლა მხოლოდ ზამთრობით სწარმოებს და შემოდგომასა და გაზაფხულზედ-კი კანტი-კუნტად; რომ სოფლის მასწავლებელს თავზედ ახვევია სამოცი და მეტი მოსწავლე, დაყოფილი 3—4 განყოფილებად, სადაც თითო განყოფილებას დღეში ძლივს შეჰხვდება თითო საათს სწავლა,—გამოვა, რომ სოფლის მოსწავლე ერთს სრულს წელიწადსაც არა სწავლობს.

გაიხსენეთ თუნდა მარტო ეს გარემოებანი და ნათლად წარმოიდგენთ სრულს სურათს სასოფლო სკოლის დღევანდელ არა-სანუგეშო მდგომარეობისა და უძლურებისასა. დღეს იგი სკოლა-კი არ არის, მხოლოდ აჩრდილი და ლანდია სკოლისა!..

დრო არის შევიგნოთ, რომ სასოფლო სკოლა დღევანდელზედ გაცილებით უფრო ღონიერი და ძლიერი უნდა იყოს, გაცილებით უფრო გონიერად უნდა იყოს მოწყობილი, გაცილებით უფრო მეტს და საფუძვლიანს სწავლას აძლევდეს თავისს მოსწავლეებს, ვიდრე დღეს აძლევს იგი.

მაგრამ როგორ მოვახერხოთ ყველა ეს? აი ის საგანი, რომელიც დღესვე თხოულობს გარდაწყვეტას, ახსნასა და განმარტებას. უმთავრესი ნაკლულევანება დღევანდელის სკოლისა, როგორც ზემოდაც ვსთქვით, რამდენიმე განყოფილებაა, რომელიც იმის გარდა, რომ მეტად აკუწმაწებს მასწავლებლის შრომას,—მეტის-მეტადვე ჰღლის თვით იმასა და ეს გარემოება დიდადა ჰვნებს საქმის ხეირიანად წარმოებასა. ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ვიღონოთ, რომ თავიდგან ავიცილოთ იგი, ე. ი. ისე მოვაწყოთ ჩვენი სასოფლო სკოლა, რომ მასწავლებელს მხოლოდ ერთი განყოფილება ჰქონდეს ჩაბარებული და მეტი-კი არა. ამ უხერხულობის ასაცილებლად, ჩვენის აზრით, საჭიროა შემოვიღოთ ორგვარი სასოფლო სკოლა: ორ-წლიანისა და სამ-წლიანის სწავლისა. ორ-წლიანის სწავლის სკოლები უნდა დაფუძნდეს ყველა, ცოტად თუ ბევრად, პატარა სოფლებში, სადაც კი, საყდარი აქვთ და მღვდელი ჰყავთ; ხოლო სამის წლის სწავლისა—უფრო დიდს სოფლებში.

ორ-წლიანი სკოლა ორის განყოფილებისაგან იქმნება შემდგარი, მაშასადამე, მისთვის საჭირო იქმნება ორი მასწავლებელი. ესენი უნდა იყვნენ მღვდელი და თვით მასწავლებელი.

ამ ორს კაცს, სოფლის ამ ორს ინტელიგენტს შუა უნდა განაწილდეს მთელი სწავლა სკოლისა. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ უმცროსს განყოფილებაში ხუთ-ორმოც (40) წამიან გაკვეთილზედ ნაკლები არ უნდა იყოს დღეში და უფროსში—6 ზედ ნაკლები.

მაშასადამე, უმცროსს განყოფილებაში, ყოველ-დღე სწავლა იქნება 3 საათსა და ოცს წამს. ხოლო უფროსში სწორედ 4 საათს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მღვდელს ხუთ გაკვეთილზედ მეტი არა ჰქონდეს, ე. ი., რომ იგი ათავებდეს სწავლას უმცროსს განყოფილებასთან ერთად, ხოლო, რადგან ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს ხუთი გაკვეთილი სულ საღმრთო წერილისგან შესდგებოდეს, ამიტომ მღვდელს, სხვა საგნის სწავლაც უნდა ვატვირთოთ, იმის-და მიხედვით, რომელი საგანი უფრო იცის და ეხერხება; მაგალითად, ქართული ენა, გალობა და სხვა. უმცროსს განყოფილებაში რომ დღეში ხუთი გაკვეთილი ვიანგარიშოთ, ხოლო უფროსში—6, გამოვა: პირველში—30 და უფროსში—36 გაკვეთილი კვირაში. აქედამ 30 გაკვეთილი, როგორც ვსთქვით, უნდა მღვდელმა აძლიოს და 36—მასწავლებელმა. მოვიყვანოთ დაახლოებითი სიაც ყველა საგნებისა და გაკვეთილებისა ერთი კვირისათვის, რომ ნათლად დავინახოთ, როგორ უფრო უმჯობესი იქნება გაკვეთილების განაწილება მღვდელსა და მასწავლებელს შორის.

I ლის განყოფილებისათვის. მე II რე განყოფილებისათვის.

სამღრთო წერილი ქართულად 3—3 [1])

— იგივე რუსულად 3—3

ქართული კითხვა — 6—6

ქართული წერა — 2—2

გალობა და სიმღერა 1—1

სულ იქნება 30 გაკვეთილი, რომელიც შეიძლება დავაკისროთ მღვდელს

არითმეტიკა ქართულად 3—3 [2])

იგივე რუსულად — 3—3

რუსული კითხვა — 6—6

რუსული წერა-კარნახობა 4—4

თვალ-საჩინო სწავლა—2—2 [3])

სულ იქნება 36 გაკვეთილი, რომელსაც იტვირთებს თვით მასწავლებელი.

ი. როსტომაშვილი.

---

[1]) აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ საღმრთო წერილის შესწავლა ქართულად უნდა სწარმოებდეს რუსულის სრულიად დამოუკიდებლად, ე. ი. სწავლება ამ საგნისა ქართულ ენაზედ თავის რიგით უნდა მიდიოდეს, მიუხედავად იმისა, ასწრობენ მოსწავლენი იმასვე რუსულად, თუ არა, რათა ამით ბავშვის სარწმუნოებრივს გრძნობის განვითარება ბავშვებში და თვითონ შესწავლა ამავე საგნისა რუსულად უფრო თავისუფლად ხდებოდეს.

[2]) ამაზედაც ის უნდა ვსთქვათ, რაც საღმრთო წერილის შესახებ ვსთქვით ქართულს ენაზედ, ე. ი. რომ იგიც ყოვლის დამოუკიდებლად უნდა სწარმოებდეს რუსულისაგან.

[3]) თვალ-საჩინო სწავლაზედ უნდა ესთქვათ შემდგგი: ეს გაკვეთილები მასწავლებელმა მუდამ ბოლო გაკვეთილებად უნდა დანიშნოს და მოახმაროს, მხოლოდ კარში, თვითონ საგანთან ან მოვლენასთან, სწავლებას,

# ფელეტონი

## როგორ გავხდი ანტრეპრენერად.

ამბავი ამერიკის ცხოვრებიდგან.

(თარგმანი)

ეს ამბავი მოხდა 1868 წელს. ჩემი საკომერციო სწავლა-განათლება დავამთავრე ბავარიის ერთ პაწია ქალაქის საწვრილმანო მაღაზიაში და შემეძლო თავი მენუგეშა, მთელ ჩემ სიცოცხლეს ნოქრობაში გავატარებ მეთქი. შეძლება არა მქონდა, საკუთარი საქმე რამ დამეწყო. ნათესავები არა მყავნდნენ; მართალია, ერთი მოხუცი მამიდა მყავნდა, მაგრამ ისიც გარდაიცვალა და მთელი თავისი საარჩო-საბადებელი, რომელიც არ აღემატებოდა 350 გულდენს, მე მიანდერძა. რა უნდა მექნა? გემეფლანგა? არც ისე ქარაფშუტა გახლდით. საკუთარი საქმე რამ დამეწყო? ეს ფული ძლიერ ცოტა იქმნებოდა, განსაკუთრებით ევროპაში. ამერიკაში კიდევ ჰო. მუდამ იმას ვფიქრობდი, ნეტა ამერიკაში წამიყვანოს ვინმემ და იქ ვცადო ჩემი ბედ-იღბალი-მეთქი. გამოვეთხოვე ჩემს უფროსს, გამოვუცხადე, ამერიკაში მივდივარ-მეთქი, ამოვიჩარე, რაც-კი რამ მებადა, წავიღე საჭირო ქაღალდები და ერთს მშვენიერს დღეს გავწიე ბრევენიდგან ნიუ-იორკში.

ამერიკაში მშვიდობიანად მივედი. კასტ-გარდენში, სადაც პირველად მივედით, მიგვიღო გერმანიის კომიტეტმა, რომელიც იმიტომ არსებობს, რომ შემწეობა აღმოუჩინოს ხოლმე, სიტყვით თუ საქმით, ახლად მოსულებს და დაიფაროს იგინი ავაზაკებისაგან. სამს დღე-ღამეს გვქონდა ნება კასტლ-გარდენში დავრჩენილიყავით და მუდამ გვაფრთხილებდნენ, ქუჩაში წანწალს ნუ დაიწყებთ, თორემ ქურდ ბაცაცებს ჩაუვარდებით ხელშიო. კომიტეტის ერთს წევრსა ვკითხე: „სულ ასი დოლლარი მაქვს და რა საქმეს მოვკიდო ხელი?“ მან მირჩია, ხილი ატარე გასასყიდადაო; ეს დრო სწორედ ამ გვარ ვაჭრობისთვის არის შესაფერიო. ეს რჩევა არაფრად მეჭაშნიკა, ევროპაში შეძენილი ჩემი სიამაყე წინააღუდგა ამ რჩევას; ვფიქრობდი, ნასწავლმა კომერსანტმა თავი ისე როგორ უნდა დავიმციროო, რომ ქუჩა-ქუჩა ხილი ვატარო მეთქი გასაყიდად.

თუმცა გაგვაფრთხილეს ქუჩაში ნუ ივლითო, მეორე დღეს მაინც წავედი ნიუ-იორკში ქალაქის დასათვალიერებლად. გზაში შემხვდა ერთი ახალ-გაზდა, ასე ოცი წლის კაცი და მკითხა: „გერმანელი ხომ არა ხარო?“ დიახ-მეთქი, ვუპასუხე, გერმანელი გახლავართ. გაეხარდა, მეც გერმანელი ვარო, სახელად გერმანე მქვიანო. თან ესეც მკითხა: თქვენთან ერთად გემით ვინმე მიულერი ხომ არ მოსულა, ჩემი მეგობარიაო. ვუპასუხე: არა-მეთქი. ეწყინა, მერე მითხრა ძალიან სასიამოვნოა შენი გაცნობა, ჩემი თანამემამულე ყოფილხარო. გამომკითხა ზოგიერთი ამბავი სამშობლოს შესახებ და მეც, რაც ვიცოდი, ყველა ვუამბე. მერე ლუდზე დამპატიჟა. მკითხა, რა საქმეს გინდა ხელი მოჰკიდოო. მეც ვუთხარი, ხილი უნდა გავყიდო მეთქი. მოეწონა, კარგი ხელობა არიო და მითხრა, რომ ხვალ შეგხვდები და კარგს დარიგებას მოგცემო. ახლა მე დავპატიჟე ლუდზედ. ამოვიღე ჩემი ფულის ქისა, სადაც ასი დოლარი მქონდა და დანახარჯი გავისტუმრე. შინისკენ რომ წამოვედი, დაღამდა კიდეც. გერმანემ გამაცილა. ძალზედ ბნელოდა. გერმანე ორჯელ-სამჯერ წაბორძიკდა და უსათუოდ წაიქცეოდა, რომ ჩემთვის ხელი არ მოეკიდნა. ვიდრე ბინაზედ მივიდოდი, გერმანე გამომეთხოვა და შემპირდა, ხვალ ამა-და-ამ დროს ისევ იმ ალაგას შეგხვდებიო. სახლში რომ მივედი, ჯიბეზედ ხელი მოვივლე, მაგრამ არც ფული იყო და აღარც ჯიბე. რაღა თქმა უნდა, ფული ჩემმა მეგობარმა გერმანემ მომპარა. დამრჩა ერთად ერთი დოლარი. იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭნია. მეორე დღეს მთელი ნიუიორკი შემოვიარე. მინდოდა გერმანე შემხვედრიყო და საქმე რამე მეშოვნა, მაგრამ არც ერთი წადილი შემისრულდა და არც მეორე. გერმანე გაჰქრა, დავიღალე და მომშივდა კიდეც, პური ვიყიდე და სულ 5 ცენტი ღა გადამრჩა. უცბად მუსიკის ხმა მომესმა, გავექანე იქითკენ და დავინახე დიდი სახლი, სადაც მოთავსებული იყო „მთელს ქვეყნიერობაზედ განთქმული მუზეი ბარნუმისა. «სახლის კედელი სულ აფიშეებით იყო გაკრული. სხვათა შორის აფიშებში ეწერა: „მისტერ ბარნუმი უდიდესს სასყიდელს აძლევს, ვინც საკვირველს, იშვიათს და არა ჩვეულებრივს საგანს მიუტანს და ყველას ყოველთვის შეუძლიან იმისი ნახვა.“ ჩემი უკანასკნელი ფული დავხარჯე მუზეიში შესასვლელად, მივმართე ერთს მოსამსახურეს, ბურნუმს მოახსენე, რომ მისი ნახვა მინდა მეთქი. წამიყვანეს მისტერ ბარნუმის კანტორაში. მისტერ ბარნუმი სამჯერ ყოფილიყო გამდიდრებული, სამჯერ გაკოტრებულიყო და ეხლა მეოთხეთ მდიდრდებოდა. ბარნუმი დამაკვირდა და მკითხა:

— შესანიშავი-რამ მოგიტანიათ ჩემთვის?

ე. ი. მასწავლებელმა ეს გაკვეთილები უნდა მოახმაროს სოფლისა და მისის არე-მარის შესწავლას, ე. ი. მოსწავლეები გაიყვანოს, გაასეირნოს სხვს-და-სხვა ადგილებში ზედმიწევნით შეასწავლოს ჯერ ცალ-ცალკე ყველა საგანი და შემდეგ ზოგადადაც. ამ თვალსაჩინო სწავლის საგნებად უნდა იყვნენ: თვითონ სასწავლებელი, თავისი ეზო-ყურეთი და მოწყობილობით, საყდარი (რამდენიც არის სოფელში და იმისს არე მარეში), ციხე-დარბაზები და სხვა ნაშთები ძველის დროებისა, მდინარეები, წყაროები, ჭები, გუბეები, ტბები, ზღვები და სხვა, რაც კი მოიპოვება ადგილობრივ; ხმელეთის ნაწილები (რასაკვირველია, უფრო შესანიშნავები), როგორც მაგალითად: მთები და მათგან უფრო შესანიშნავი მწვერვალები, ველები, ღელეები, საძოვრები, სათიბები, სახნავები, ვენახები, ბაღები, გზები, ეზოები, სახლები, ცხოველები. მცენარეები, და სხვა. თქმა არ უნდა, რომ მასწავლებელმა უნდა გაიყვანოს მოსწავლენი კარში სასწავლებლად საჭიროებისამებრ კარგის დარის დროს, ხოლო ცუდს დარებში ისევ სასწავლებელში ასწავლოს, წინა დღის მიმოხილვის საგნებზედ, მაგრამ ისევ-კი თვალ-საჩინოდ, ე. ი. შეასწავლოს: გეომეტრიული სხეულები, სხვა და სხვა მცენარეები, ცხოველები ადგილობრივისა და შორის ქვეყნებისაც.

ავტ.

# ახალი ამბავი

—

*** ამ წლის 11 თებერვალს „ქართულ წარმოდგენების მმართველ ამხანაგობის“ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დ. გ. ერისთავის დრამა „სამშობლო“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ. ეჭვი არ არის ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივად თანაგრძნობით მიეგება ამ წარმოდგენას.

*** დღეს, 31 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას მორიგი კრება აქვს დანიშნული. კრება მოისმენს თავ. ანდრონიკაშვილის მოხსენებას იმის შესახებ, რომ სამეურნეო „საზოგადოებასთან“ დაარსებულ იქნას ბიურო, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ხოლმე მეურნეთა ნაწარმოებით ვაჭრობასა“. კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება.

*** დღეს, 31 იანვარს, ტფილისის მეორე გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეთა სასარგებლოდ ტფილისის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ერნანი“.

*** გუშინ, 29 იანვარს, «ქართულ წარმადგენების მმართველ ამხანაგობის» დასმა საადგილ-მამულო ბანკის სათეატრო დარბაზში, წარმოადგინა ყველასაგან ცნობილი პიესა „სამშობლო“. წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა.

*** ოთხშაბათს, 1 თებერვალს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას საღამოს $7^1/_2$ საათზედ მორიგი კრება აქვს დანიშნული.

ამკრებაზედ თავისს სამეცნიერო მოხსენებას წაიკითხამენ:

ა. ი. შენგელაია. მცენარეთა ზეთეულობისა და ერბოს „ქიმიურის ანალიზის“ შესახებ.

ა. ს. ილინი. purpura rheumatica“-ს შემთხვევის შესახებ.

ლ. მ. ცაბაძე: მუცლის წახდენის შედეგის წამლობის შესახებ.

*** კავკასიის პრიკაზის მოვალენი დადგენილის წესით შუამდგომლობენ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა შეყენებულ-იქმნას საჯარო ვაჭრობით გასყიდვა იმ მამულებისა, რომელიც ხსენებულს პრიკაზში იყო. დაგირავებული. შუამდგომლობენ აგრეთვე, რომ მოვალეთ ეპატიოთ ყოველგვარი ჯარიმები. ამ გვარის შუამდგომლობის უმთავრეს მიზეზად მთხოვნელები ასახელებენ იმ ზარალს, რომელიც მოუტანეს მამულების სამმართველოდ დანიშნულმა მზრუნველებმა ვადაზედ გარდასახადის შეუტანლობისა გამო. „Бир. Вѣд.“

*** გაზეთ «Нов. Обозр.».ს დეპეშით ატყობინებენ ბათუმიდგან, რომ სასტუმრო „იტალია“ და გურსკის სტამბა ცეცხლს სულ ერთიანად გადაუბუგავს.

*** სოხუმი. იანვრის დამდეგს ერთმა აქაურმა მემამულემ და ყველასაგან პატივცემულმა მოხუცმა ი. თ—იამ რევოლვერით თავი მოიკლა. თ—ა შესანიშნავი მდიდარი კაცი იყო და მთელი თვისი ქონება (სამი-ათას თუმნამდის) სულ სხვა გარეშე კაცს გარდასცა. მიცვალებულის ნათესავები ძლიერ დაალონა ამ ამბავმა.

*** იქიდამიე. ჩვენსკენ მშვენიერი დარებია. ზამთარი გადის და ერთი ავდრიანი დღეც არ გვინახავს. მხოლოდ რაც ზამთარმა დაგვაკლო ამას ქურდები გვისრულებენ. ერთი თთვის განმავლობაში შვიდირვა ქურდობა მოხდა. ნამეტნავად სხვილ-ფეხა საქონელს ეტანებიან.

სიმინდის სასყიდლად რამდენიმე უცხოელი ჩამოვიდა ჩვენში. ამ ჟამად ფუთი სიმინდი 50=52 კ. ისყიდება. იმედი გვაქვს მაზანდამ უფრო აიწიოს.

*** ქვემო-მაჩხაანი: იქამდის მიაღწია გლეხთა· შორისაც სწავლის სურვილმა და სიყვარულმა, რომ დღეს აღარც ჩვენი სოფლის სკოლაშია ვაკანსია სოფლის ბაღლებისათვის. აი ამისათვის მადლობის ღირსია ქეთევან ქრისტეფორეს ასული ზარაფიშვილი,სა რომელიც თვეში ათ შაურად იყვანს სასწავლებლად 7—8 წლის ქალ-ვაჟებს. მადლობის ღირსია იმისათვისაც, რომ ქ-ნი ზარაფიშვილისა უკუღმართთა სწავლის მეთოდს არ მისდევს. მეტად სასიამოვნოა, როდესაც ჰხედავთ პაწია ბაღლები მშვენივრად და თავისუფლად ტიტინებენ ზეპირად თავიანთს დედაენაზედ საბავშო ლექსებს თუ სხვა გაკვეთილებს...

*** პატარძეულ-ბერთუბანი. არ იქნა და თავიდგან ვერ ავიცდინეთ ღამის რაინდები. თარეშობენ თავისუფლად და მათი ამლაგმავი-კი ჯერ არავინაა. ქათამ-ინდოურ-ბატების პარვასთან სახლების მტვრევაც დაიწყეს. 13 იანვარს ღამით გასტეხეს გ. ფიცხელაურის სახლი. ზარალი ჯერ-ჯერობით არ ვიცით რამდენია, რადგან თვით ფიცხელაური დასავლეთ საქართველოშია ბოქაულად. სახლის კარები დაბეჭდეს და მცველი დაუყენეს მის მოსვლამდის. იმავე ღამეს გასტეხეს ი. მიქელაიშვილის დუქანი. უკანასკნელი ქონის ქილებიც კი წაუღიათ. ეჭვი სამს ვაჟბატონზედ მიიტანეს, რომელნიც წინათაც შეწამებულნი იყვნენ.

## კორესპონდენცია

—

**ნავთ-სადგური ანაკლია** (სამეგრელო). ანაკლია მდებარეობს იმ ალაგას, სადაც შავს ზღვას ერთვის მდინარე ენგური. ამ პატარა ნავთ-სადგურს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ სამეგრელოსათვის, რადგან ერთის მხრით აქედან გააქვთ საზღვარგარეთ ერთ მილიონამდის ფუთი სიმინდი და მეორე, აქ გამართულია სახერხავი ქარხნები, რომლებსაც მუდამ ეჭირვება მუშა კაცი; ამიტომ ანაკლიაში ბევრია მუშები და სიმინდით მოვაჭრენი, რომელთა შორის საზღვარ-გარეთლებიც არიან. უცხოელთ აქაც დაგვანახვეს, თუ რა დიდათ წინ წასულან ჩვენზედ და როგორ დახელოვნებულან ფულის მოგებაში: ბევრმა სამშობლოდგან ხელცარიელად წამოსულმა ბერძენმა აქ დიდი სიმდიდრე შეიძინა, როდესაც ზოგიერთს ჩვენს თანამემამულეთაგანს ხუთი-ექვსი მანეთის მოხერხება არა აქვს და მოელის ნივთიერად დაქვეითება—სიღატაკე. ეს მოვლენა უფრო სამარცხვინოა მით, რომ ჩვენ შემენის ნაცვლად, ვკარგავთ, ძალათ სხვას ხელში ვაჩეჩებთ მოსაგებს წყაროს, როდესაც ჩვენვე შეგვეძლო, მით გვესარგებლა და გაგვეუმჯობესებინა ნივთიერი მდგომარეობა ჩვენის ხალხისა. თუ ბერძენი დღეს ჩვენის გლეხისაგან ყიდულობს ნავთ-სადგურში მიტანილს სიმინდს ღირებულზედ ნახევარ ფასად და საზღვარ-გარეთ ჰყიდის ღირებულად და პირის-პირ მოგებაშია, რა გვიჭირდა, ჩვენის ოფლით მონაგარი ჩვენვე გაგვეყიდა საზღვარგარეთ, არც ჩვენ წაგვეგო და არც გლეხი გვეზარალებინა?

შეიძლება გაიკვიროს ვინემ, რომ ჩვენებური გლეხი, იაფად ჰყიდის თავისს ნაოფლარს. რა ჰქნას გლეხმა? თუ არა სიმინდით, რით დააკმაყოფილოს ოჯახის სხვა-და-სხვა მოთხოვნილება, რითი გარ დაიხადოს სახელმწიფო ბეგარა, მღვდლის და მასწავლების ფული, როდესაც სხვა შემოსავლიანი წყარო არაფერი გააჩნია? მოვა „ფოსტის“ ფულის გადახდის დრო, ის ნება უნებლიედ იძულებულია სიმინდი ან მესამედ ფასად ჩაუგდოს სოფლის ჩარჩებს ხელში, ან თავისის ურმით ანაკლიას მიიტანოს, და იქ ფასის შესაბამად მიჰყიდოს უცხოელს, რადგან მას თავის თანამემამულეებზედ უპატიოსნესი ჰგონია.

სიმინდის ფასის აწევ-დაწევა ხოცვალებადია, როგორც მარტის დღე: შეიძლება ერთს საათში ცოტა აიწიოს და მეორეში ჩალის ფასად გახდეს, მაგრამ, რაც უნდა აიწიოს, ღირებულს მაინც ვერ მიაღწევს. სოფლიდგან მომსულმა გლეხმა რა იცის, რა დროს აიწევს სიმინდის ფასი და ამიტომ მისვლისათანავე ხელიდან იშორებს მას, რადგან არც მისი შესანახი ადგილი აქვს და არც მდგომარეობა აძლევს ნებას, სიმინდი დიდხანს გააჩეროს.

აქედგან სჩანს, ელევატორის დაარსება ანაკლიაში რა დიდს სარგებლობას მოუტანდა სამეგრელოს, რომლის ნივთიერი ყოფაც დღეს არასასურველს მდგომარეობაში იმყოფება. ელევატორის დაარსებასთან ანაკლიასაც დაეტყობოდა მეტი სიცოცხლე, მისი ნავთ-სადგური შეკეთდებოდა, რაც, უეჭველია, მეგრელებს რუსეთთან მისვლა-მოსვლას და ვაჭრობას საზღვარ-გარეთლებთან ორკეცად გაუადვილებდა.

დიმ. ბ—ია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „კვალი“ არ სჯერდება ჩვენის ქვეყნის დასების არევ-დარევას და ახლა საფრანგეთისკენაც გაუწვდია ხელი. იქაურ საქმეებისა, ფაქტებისა და ნამდვილ მდგომარეობის მიხედვით კი არა სჯის, არამედ à priori, როგორც მას „კვალს“ ჰსურს და ეჭაშნიკება...

არ შეიძლება, ვიკითხოთ—საიდგან გაუგია „კვალს“, რომ ახლანდელი საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი „ნამდვილ პროგრესიულ დემოკრატული პრინციპის მიმყოლია“?!

არ შეიძლება შეგვატყობინოს „კვალმა“, რისთვის გამწარდნენ ასე რადიკალები და სოციალისტები ფორის ამორჩევის გამო?!.

არ შეიძლება აგვიხსნას ჟურნალმა, როგორ მოხდა, რომ რადიკალები და სოციალისტები ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ ზომიერი რადიკალი ბრისონი ამოერჩიათ და წინააღუდგნენ ფე-

---

— მისტერ ბარნუმ, ნება მიბოძეთ ისეთი შესანიშნავი ვირი მოგართვათ, რომლის ბადალი დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება.

— კეთილი, მიპასუხა ბარნუმმა, აბა სად არის ის ვირი?

— აქ გახლავართ.

ბარნუმი ისევ დამაცქერდა.

— თქვენ არაფრითა ხართ შესანიშნავი, მაგრამ მაინც მითხარით, რაშია საქმე? მე ვუამბე, როგორ მომპარა გერმანემ ფული და მერე ვკითხე, განა ჩემისთანა ვირი კიდევ მოიპოვება ქვეყანაზედ-მეთქი. ბარნუმმა გაიცინა.

— შენ თავს ძალიან ძვირად აფასებ, ჩემო კარგო. ჩემს მუზეიში რომ ყველა ის ვირი მოვიყვანო, ვინც-კი თავი ქურდებს ჩაუგდო ხელში, ათს ამისთანა მუზეუმში არ დაეტევიან. მაგრამ თქვენ ოხუჯობას მოკლებული არა ხართ და ოხუჯობაც იგივე თანხა არის. ვინა ბრძანდებით? ვუთხარი, ვინც ვიყავი.

— ოჰო, გერმანელი ყოფილხართ. მეც აგრე ვფიქრობდი. ეხლა, რას აპირებთ?

— ჯერ ვფიქრობ, მშიერი ვარ; სხვა საქმე არა სჩანს-რა ჩემთვის.

ბარნუმი ისევ დამაცქერდა.

— მშიერი კუჭით სიარული—ვერაფერი საქმეა, თავისთვის ჩაილაპარაკა ბარნუმმა.

— თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ, ჯანსაღი, ცოტაც რამ გისწავლიათ და თან ოხუჯობაც შეგწევთ. შეიძლება, თქვენთვის რაიმე საქმე გამიჩნდეს. თქვენ გსურთ მუშაობა?

— მე მზადა ვარ ყოველ გვარი საქმე ვიკისრო და ვეცდები სინიდისიერადაც შევასრულო ეს საქმე.

— რა სჭამეთ დღეს ანუ რა ჰსვით? მკითხა მისტერ ბარნუმმა.

— ხუთი ცენტის პური გიახელით.

— რამდენი ფული დაგრჩათ კიდევ?

— უკანასკნელი ხუთი ცენტი აქ შემოსვლაში გარდავიხადე.

ბარნუმი მივიდა კანტორკასთან, რაღაც დაწერა ქაღალდზედ და გადმომცა.

— აი, დღეს თავისუფლად შეგიძლიანთ მუზეიში შესვლა-გამოსვლა; აი დოლარის ერთი-მეოთხედიც; წადით დუქანში, ისადილეთ და მერე აქ დაბრუნდით. მე თქვენთვის საქმე მზადა მაქვს.

მე ვიგრძენ, რომ ბარნუმს ჩემი გამოცდა უნდოდა. დავრწმუნდი, ჩემმა ხუმრობამ, რომელიც ევროპაში, ცხადია, არავის მოეწონებოდა, დიდი სამსახური გამიწია; სხვა თუ არა, ბარნუმს მაინც გავეცანი და ესეც საქმეა.

დუქანში შეველ, კარგად გავძეხი, ცოტა ლუდიც დავლიე. ნახევარ საათსაც არ გაუვლია, ისევ გამოვეცხადე ბარნუმს. უპირველეს ყოვლისა მკითხა, რა ვჭამე სადილად და ან რა ვსვი. მეც სიმართლე მოვახსენე.

— არაფერი სვამთ?

— არა, არაფს არ გიახლებით, მაგრამ, როგორც ბავარიელს, ლუდი-კი მიყვარს.

— ძალიან კარგი იქნება, რომ ლუდსაც თავი დაანებოთ. მაგრამ რაკი ლოთი არა ყოფილხართ, საქმეს გაგიჩენთ. აი, აიღეთ ეს ხუთი აგური და გაიტანეთ მუზეის წინ რომ მოედანია. ერთი აგური ბრადვეისა და ანგის ქუჩის თავში დასდეთ, მეორე მუზეის წინ, მესამე ასტროვის სახლებთან, მეოთხე წმ. პავლეს ეკკლესიის გადასახვევში.

შემდეგ წადით საჩქაროდ, წაიღეთ მეხუთე აგური და გამოცვალეთ ის აგური, რომელიც პირველ ალაგას დასდეთ, მერე იმ აგურით გამოცვალეთ მეორე აგური, ამით მესამე, მესამეთი—მეოთხე და შემდეგ ისევ მიუბრუნდებით პირველს. მაგრამ ისე-კი უნდა იაროთ, რომ ხმა არავის გასცეთ, თუ ვინმე დაგელაპარაკოთ. გაიგეთ, რა გითხარით?

— ვერა გავიგე-რა, ვუპასუხე განცვიფრებულმა.

— ეგ სულერთია. თქვენ მიიღებთ საათში თხუთმეტს ცენტს. საკმარისია, თუ ყველა ამას ხმა-ამოუღებლივ აასრულებთ. როცა საათი დაჰკრავს, იმ აგურით, რომელიც იმ დროს ხელში გექმნებათ, წამოდით ნელის ნაბიჯით მუზეიში, დაიარეთ ყველა ოთახები, მერე ისევ ქუჩაში გადით და განაგრძეთ თქვენი საქმე. მიჰხვდით?

— დიაღ, მივხვდი.

— აბა, მაშ საქმეს შეუდექით.

გამოველი ქუჩაში, წამოვიღე აგურები და შევუდექი საქმეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბარნუმი ფანჯრიდგან თვალს მადევნებდა. ხალხმა ნახა, როგორის გულ-მოდგინებით ვაწყობდი აგურებს. რამდენიმე კაცი გარს მომეხვია და მკითხამდნენ, რას აკეთებო. მე ხმა არ ამომიღია, საათმა დაჰკრა. ავიღე ერთი აგური და წაველ მუზეიში. ხუთიოდე კაცი თან შემომყვა და, რასაკვირველია, მუზეიში შესვლის ფული გადაიხადეს, ერთი საათის შემდეგ 30 კაცი შემყვა მუზეიში. ეხლა-კი მივხვდი მისტერ ბარნუმის განზრახვას. ეს ახალი რეკლამა გახლდათ.

[ს]აღამო ხანზედ რომ მუზეიში წაველ ჩემის აგურებით, ათასამდე კაცი გამომყვა. მისტერ ბარნუმმა მიბრძანა, დღეს კმარაო, მერე პირობისამებრ

ლიქს ფორს, რომელიც თურმე „ნამდვილი პროგრესიულ-დემოკრატიულის პრინციპის მიმყოლი" ყოფილა?!

იმ ცნობებიდგან, რომელიც დღე დე არსებობს ფელიქს ფორის შესახებ, იგი ეკუთვნის ზომიერ რესპუბლიკელთა გუნდს, რომელსაც ჰსურს საფრანგეთის ახლანდელი პოლიტიკური და სოციალური statuquo დაიცვას; იმისი კანდიდატურა წარმოადგინეს ზომიერ რესპუბლიკელებმა, ბრისონის წინააღმდეგ და ამოირჩიეს იგი ცენტრიდან დაწყებული ყველა მემარჯვენე პარტიებმა. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ,,კვალს'' გაუმართლდეს იმედი, რომ ფელიქს ფორი ეკონომიურს რეფორმებს შეუდგება... სოციალისტების განდევნილ მეთაურების დაბრუნება უბრალო თავაზია საზოგადო აზრისა და სრულებითაც არ ჰნიშნავს ბრძოლის დასრულებას. ფელიქს ფორის არჩევით საფრანგეთი წარმატების გზას ვერ დაადგება შესამჩნევად მისთვის, რომ ბურჟუაზულ პარტიების უმრავლესობა პარლამენტში ისევ წინანდულად რჩება, იმ პარტიებისა რომელთაც სიტყვა,ეკონომიური რეფორმები'' შიშის ზარსა სცემს. ფორი რომ ამოირჩიეს, სოციალისტები ყვიროდნენ: ,,თქვენც მალე გაგისტუმრებთო'' და საგულისხმოა, რომ ბრძოლა მალე ასტყდება.

ნეტავი ვიცოდეთ, როგორ ახსნის მაშინ ,,კვალი'' ფელიქს ფორისა და რადიკალებს შუა ბრძოლას?

ერთი შენიშვნა კიდევ: ნუ თუ ,,კვალს'' ჰგონია, რომ ,,ახალშენების'' მოპოვება დემოკრატებისა და რადიკალების პროგრამაში შედიოდეს?

როგორ აუხსნის ,,კვალი'' თავის მკითხველებს იმ გარემოებას, რომ ყველა რადიკალები წინააღუდგებიან ფორს, თუ იგი ეგრედ წოდებულ ,,კოლონიელ პოლიტიკას'' დაადგება?! სასურველია, რომ ,,კვალმა'' თავისი პოლიტიკური წერილები დაფიქრებით სწეროს, თორემ თავისს მკითხველებს სრულებით ვერ გამოურკვევს ნამდვილს აზრს. უიმისოდაც არეულ დარეულის საფრანგეთის პარტიებისა და იმათის პროგრამის მდგომარეობას.

გაზ. ,,კვალის'' უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია აკაკის ფრიად საყურადღებო წერილი ქართულ „ზეპირ-გადმოცემების'' შეკრების შესახებ. განმარტავს-რა ხალხურის პოეზიის დიდს მნიშვნელობას ჩვენის წარსულისა და მსოფლიო ისტორიისთვისაც-კი. აკაკი ამბობს:

„ერთი ათი წელიწადი კიდევ და მშვიდობით! ჩვენი დღევანდელი დაუდევრობით დავკარგავთ იმას, რისიც მოპოვება მერე შეუძლებელი იქნება''.

აკაკი მართალს ამბობს, რომ ამ განძის შეკრებას რაც შეიძლება მალე უნდა შევუდგეთ და ამისათვის უნდა დაარსდეს საკუთარი თანხა შემოწირულებათა.

## რუსეთის ცხოვრება

—

ბევრჯელა ყოფილა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხთა „გაროზგვა" გაუქმებულ-იქმნას და ბევრს მეცნიერს და სხვა მკურნალთაც მრავალჯერ დაუმტკიცებიათ, თუ რა საძრახი და მავნებელია იგი, მაგრამ „როზგი" ზოგი-ერთა ადგილებში მაინც ხმარებაშია და იმის წინ ძრწის საწყალი გლეხობა და მით-კი მისს ზნეობას არა ემატება-რა, ფიზიკურად აუძლურებს, ნდობას უკარგავს, სიძულილს ჰბადებს და სხვა-და-სხვა.

ამ უკანასკნელად მომხდარ ყაზანის უნივერსიტეტის მკურნალთა საზოგადოების სხდომაზედ, გადმოგვცემს „Волжскій Вѣстн."-ი, სასამართლოს ექიმობის პროფესორმა ი. მ. გვოზდევმა წაიკითხა მოხსენებაო: „როზგით დასჯა სამკურნალო მეცნიერების აზრით".

,,ჩვენ არ შევეხებით ,,გაროზგვის'' სხვა-და-სხვა უფრო საყურადღებო მხარეებსაო, სთქვა პატივცემულმა პროფესორმა, რომლებიც პირდაპირ უარს-ჰყოფენ ამ დრო გადასულს სასჯელსაო, ჩვენი მოვალეობაა მხოლოდ ის, რომ გავარჩიოთ, რამდენად მავნებელია იგი ფიზიკურად ,,როზგით'' დასჯილთათვისაო. ვინც-კი დაჰკვირვებია გლეხთა ცხოვრებას, მან კარგად უნდა იცოდეს, რომ ხშირად თვით უბრალო ჭრილობას, კანის გაკაწვრას, მცირე იარას, როდესაც იგინი ჭუჭყით ამოივსებიან, მოჰყვება ხოლმე ამ ნაწილთა საშიში დაიარავება, დაზიანება. იმ ცნობებიდგან, რომელსაც მეცნიერება იძლევა ჯანმრთელობაზედ მიკროორგანიზმთა გავლენის შესახებ, როგორ იკვლევენ გზას მიკროორგანიზმები მცირე რამ ნაჭდევიდგან შიგნით კანში, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ,,გაროზგვის'' დროს დასჯილთ ზურგითა კანი ასკდება, თუმცა ჩვენში ისე ძალიან არ იროზგებიან, მუდამ ყამს მოსალოდნელია, რომ ადვილად იქონიებენ თავისს ზედგავლენას მიკროორგანიზმნიო. თუმცა შესაძლებელია, მუდამ არ მოჰყვეს ,,გაროზგვას'' ასეთი დაავადმყოფება, მაინც ჩვენი მოვალეობაა, უარ-ვყოთ ეს სასჯელიო''.

საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი მ. ია. კაპუსტინიც მომხსენებლის აზრს მიემხრო და განაცხადა, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობასა ჰვნებს „გაროზგვა", სხვა შესაწუნარებელი და საყურადღებო მიზეზებიცაა, რომლებიც უთუოდ თხოულობენ მის ხმარებიდგან გადაგდებასაო.

,,ზნეობითს შერცხვენასა და დამცირებასთან ერთად, რომელიც აუცილებელი მოვლენაა ამ გვარს შემთხვევაში, ნერვიანთა და გულით სუსტთა ,,გაროზგვას'' ხშირად უფრო ცუდი შედეგიც მოჰყვება ხოლმეო. შერცხვენის გრძნობა, რომელსაც ჰგრძნობენ ხოლმე ამ გვარად დასჯილნი, ხშირად ჭკუიდგან შეჰშლის ხოლმე და თავს აკვლევინებს; ეს ყველამ კარგად იცის, ვინც-კი ჟურნალ-გაზეთობას თვალს ადევნებსო''.

ამ გვარად საზოგადოების ყველა წარმომადგენელნი იმ აზრს დადგნენ, რომ სასურველია ეს სასჯელი გაუქმებულ იქმნასო.

ეს მხოლოდ საზოგადოების სურვილია. მაგრამ დაბოლოებითი გარდაწყვეტა ამ საქმისა, რასაკვირველია, უმაღლეს მთავრობაზეა დამოკიდებული, რომელიც შეიწყნარებს თუ არა საზოგადოების განჩინებას, ამისი თქმა ჯერ შეუძლებელია.

## უცხოეთი

—

**ინგლისი**. სამინისტროს შიში აქვს, რომ პარნელისტები ოპოზიციას შეურთდებიან და ერთად ეცდებიან გაასწორონ შეცდომა კერგადისა, რომელმაც თურმე წარადგინა აზრი, მთავრობა გაჰკიცხონ იმის გამო, რომ სეფე-სიტყვაში არა არის-რა ნათქვამი უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საშინელს გაჭირვების შესახებ.

—

ევროპის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ იმ სცენის შესახებ, რომელიც მოხდა 17-ს იანვარს რუსეთის იმპერატორის სასახლეში... ბევრი სტიროდა, ბევრი პირჯვარს ისახავდა და სრულიად უცნობნიც-კი სიხარულით ერთმანეთს ეხვეოდნენ თურმე. რუსეთის პირველს კაცებსა და ერის წარმომადგენელთ ისე აუჩვილა გული ხელმწიფის სიტყვებმა, რომ თავი ველარ შეიკავეს და სრულს აღტაცებას მიეცნენ. რომ იმპერატორის სიტყვებმა ძლიერ დიდი ზედ-გავლენა მოახდინა დამსწრეებზედ, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ამავე დღესვე ყაზანის საკრებულო ტაძარში სამადლობელი პარაკლისი გარდაიხადეს. სამზღვარ-გარეთის გაზეთები ამბობენ, რომ ეს სცენა ნამდვილად გვიხატავს რუსეთის საზოგადოების ხასიათსაო.

## ქართული თეატრი.

კვირა, 29 იანვარი.

„სამშობლო". დრ. 5 მოქმ.

გუშინ-წინ „სამშობლომ" ქართულს თეატრში დიდძალი ხალხი მიიზიდა. ამ საღამოს სვიმონ ლეონიძის როლს ბ-ნი გამყრელიძე თამაშობდა. არტისტმა ნათლად დაგვისახა სამშობლოს უბედურებით დატანჯულის ქართველი კაცის არსება, იმ კაცისა, რომელიც თავისს პირადობას სამშობლოს განთავისუფლებას სწირავს, რომელსაც წამება მხოლოდ იმიტომ აშინებს, რომ მოღალატე არ გავხდეო და ხორციელმა ტანჯვამ სულიერად არ დამამციროსო. მეტადრე კარგად ჩაატარა ბ-ნმა გამყრელიძემ სცენა ციხეში და შესაფერის მღელვარებით დაგვისურათა ბრძოლა ქმრისა და პატრიოტისა, როდესაც ერთი შურისძიებას თხოულობს, მეორე-კი მიტევებას!.. სცენა წამების ოთახთან დამაგვირგვინებელი დასასრული იყო არტისტის ხელოვნურის თამაშობისა. სულ-განაბული საზოგადოება ყურს უგდებდა სვიმონ ლეონიძის სიტყვებს: „დაჰკა, ლევან, მით სამშობლოს იცავ, გული გაუპე, მით საქართველოს იხსნი-"ო.

კარგად მოუვიდა აგრეთვე ვ. გამყრელიძეს ანაზდეული ცვლილება, როცა წამების ოთახში იწვევენ. მოხუცის აღფრთოვანებული, შურის-ძიებისათვის გამზადებული არსება—მიწყნარებულმა მღელვარებამ შესცვალა; წყნარად გამოეთხოვა ხიმშიაშვილს და ნაბიჯი გადადგა წამების ოთახისაკენ, მერე მოტრიალდა, სიყვარულით შეჰხედა ლევანს. „აღთქმა არ დაგავიწყდეს, აღთქმა გახსოვდესო"! გაისმა სიჩუმით მოცულს დარბაზში და არტისტმა კვლავ გადასდგა ნაბიჯი, მივიდა ოთახთან და იქიდგან უკანასკნელად განუმეორა ლევანს დავალება და ფარდას იქით წყნარად მიიმალა.

დანარჩენმა არტისტებმა აბაშიძემ, სვიმონიძემ, ავალიშვილისამ და მაქსიმიძისამ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. განსაკუთრებითკი ბ-ნმა სვიმონიძემ—ხელოვნურად ჩაატარა ქეთევანის მოკვლის სცენა.

დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ საყვარელი დრამა ჩინებულად იყო მოწყობილი, ყველა მომქმედ პირს საკმაოდ ძვირფასი და როლის შესაფერი ტანისამოსი ეცვა.

ინზენ.

## გლეხის ნატვრა.

ახ, ნეტავი მიწა მქონდეს
თავისუფლად მოსახნავი,
მოვიყვანო ლუკმა პური
წლითი-წლამდე მოსახრავი.

—

ახ, ნეტავი მომაშორა
კარს მეზვერე-ყარაული,
ავსა და მიუთვისებელს
ვერ იტვირთავს ჩემი გული.

—

ახ, ნეტავი ცოლად მომცა
გოგო ბუნებით ქართველი,
„მოდნებისა" არ ამყოლი
ქართულ ჩით-კაბის ჩამცმელი.

—

არც ქერა და არც ლამაზი,
არც პირს ესვას თეთრი მტვერი,

---

60 ცენტი მომცა 4 საათის მუშაობისა. მეორე დღეს უფრო დიდის გულმოდგინებით შევუდექი ჩემს სამსახურს. მესამე დღეს გაზეთებში დაბეჭდილი იყო ვრცელი შენიშვნა „აგურებიანი კაცი". მეოთხე და მეხუთე დღეს გაზეთები სავსე იყო ბარნუმის ამ ახალ რეკლამით. ხალხი ათასობით მიაწყდა მუზეის. ბოლოს პოლიციამ დამიშალა აგურების ტარება, ძლიერ ბევრი ხალხი გროვდება მუზეისთან და ქუჩაში ეტლს ველარ გაუვლიაო. ბარნუმსაც ეს უნდოდა, დამიძახა კანტორაში და მითხრა.

— თქვენ კარგად აასრულეთ თქვენი თანამდებობა, ხალხი იმიტომ მოაწყდა ჩვენს მუზეის, რომ გულ-მოდგინედ ასრულებდით თქვენს საქმეს. თუ ამას იქითაც მუყაითად იქმნებით, მუზეიში დაგტოვებთ და ჯერ-ჯერობით ოთხ დოლლარს მოგცემთ კვირაში და დაგავალებთ, მუზეიში თვალყურის გდებას, რომ არავინ არაფერი მოიპაროს. შემდეგ იქნება სხვა უკეთესი თანამდებობაც ჩაგაბაროთ.

ამ გვარად დავრჩი მუზეიში. ბინაც გამიჩნდა და ჯამაგირიც.

ერთხელ თვალი მოვკარ, რომ ვიღაც კაცმა ერთს ქალს ჯიბიდგან ფულის ქისა ამოაცალა. ქურდს იქვე ხელი ვტაცე და ჩემი მეგობარი გერმანე-კი აღმოჩნდა. ფულის ქისა პატრონს დავუბრუნე, ქურდი-კი თვით მისტერ ბარნუმს მივგვარე და თანაც მოვახსენე, ეს ის გერმანეა, მე რომ ფული მომპარა მეთქი.

მისტერ ბარნუმმა მკაცრად შეჰხედა ჯიბგირს და ჰკითხა:

— თქვენ ორი ქურდობა გბრალდებათ. იცით, რა მოგელით?

გერმანე მუნჯივით იდგა გაჩუმებული.

ბარნუმმა განაგრძო:

— სასამართლო სულ ცოტა ათი წლის დაპატიმრებას მოგისაჯავთ ქურდობისათვის. თქვენი სული ეხლა ჩემს ხელშია. რა უყავით ის ფული, ამ კაცს რომ მოჰპარეთ.

— აღარა მაქვს.

— რა თქმა უნდა! ან ეხლავე პოლიციაში გიკრავთ თავსა. ან არა-და ხუთს დღეს მუზეიში დაგაყენებთ ხალხის საჩვენებლად, როგორც გამოჩენილს ჯიბგირს პურს გაჭმევთ და დღეში თითო დოლარსაც მოგცემთ. რას იტყვით?

— მერე პოლიციამ რომ დამიჭიროს.

— მაგისი ნურა გეფიქრებათ-რა. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ.

ჯიბგირი დაამწყვდიეს. ერთის საათის შემდეგ იგი ხელ-ფეხ შეკრული იდგა მუზეის ერთ ოთახში ორ დარაჯს შუა, რომელთაც ბარნუმმა პოლიციელების ტანსაცმელი ჩააცვა. კარებზედ უკვე გაკრული იყო უშველებელი აფიშა, რომელზედაც ეწერა: „მუზეიში ხალხს აჩვენებენ ცოცხალს, ჯიბგირს, რომელიც აქვეა ქურდობის დროს დაჭერილი. ამერიკელებისთვის ეს საკმარისია. მუზეის აუარებელი ხალხი მიაწყდა. პოლიცია ამ საქმეში სულაც არ გარეულა. მას ასე ეგონა, მარნუმს ეს კიდევ ახალი რეკლამა გამოუგონიაო; მეხუთე დღეს ხალხმა იკლო. ბარნუმი კარგად იცნობდა საზოგადოებას. გერმანმა ხუთი დოლარი მიიღო და დარიგება, ჯიბგირობას თავი დაანებეო. მერე ბარნუმმა დამიბარა, 100 დოლლარი გადმომითვალა, გერმანემ რომ მომპარა და მითხრა: ეს ფული თქვენია, გერმანე რომ არ დაგეჭირათ, მეც ამდენ ფულს ვერ ავიღებდიო. გირჩევთ, ერიდოთ ჯიბგირებს და არც არაყი და არც ლუდი აღარ დალიოთ. გარწმუნებთ, მე იმიტომ მიღიმის ბედი, რომ სასმელს არ ვეწყობი. ეხლა თუ გინდათ, ჩემთან დარჩით, თუ არა და, ერთი კვირის ჯამაგირს მოგცემთ და საცა გენებოთ, იქ მირბძანდით.

მისტერ ბარნუმს მოვახსენე: აქედგან არსად წავალ, თქვენ გენიოსი ხართ და მინდა თქვენი შესანიშნავი ხელობა ვისწავლო, რომლის წყალობითაც არარაობიდგან ფულს გააჩენთ ხოლმე.

ბარნუმს ეს ჩემი სიტყვები ძლიერ ესიამოვნა.

ხუთს წელიწადს დავრჩი ბარნუმთან. ჯამაგირს ძლიერ კარგს მაძლევდა და საკმაო ფული შევაგროვე. მერე ვკითხე, დრო არის თუ არა, ეხლა მე თითონ შევუდგე საკუთარს საქმეს? მკითხა, რამდენი ფული გაქვსო. ვუპასუხე, სრულიად საკმარისია, რომ ისეთმა მხნემ და პატიოსანმა კაცმა, როგორიც მე ვარ, საქმეს ხელი მოჰკიდოს მეთქი. მაშინ ბარნუმმა კარგი დარიგება მომცა და რამდენიმე შესანიშნავი ნივთი მაჩუქა, რომელთაც ამერიკაში მნიშვნელობა აღარა ჰქონდა, ხოლო ევროპაში-კი ისევ ისე ხალხს გააკვირვებდა. მეც პატარა მუზეი გავიმართე და დავდიოდი ქალაქიდგან ქალაქში. დი-დძალი ფული შევიძინე, დავბრუნდი ევროპაში და ეხლა აქ ვსცხოვრობ. ბარნუმი თავის რჩევა-დარიგებას აქაც არ მაკლებდა. ერთხელ, როცა შემთხვევით საქმე კინაღამ უკუღმა დამიტრიალდა, ფულიც-კი გამომიგზავნა სესხად.

1891 წელს გაზეთებში წავიკითხე, მისტერ ბარნუმი გარდაიცვალაო და, ღმერთს გეფიცებით, ბევრი ვიტირე.

6—6.

ისე შუათანა იყოს—
შავგრემანი, ხორბლის ფერი...

—

მაშინ რაღა ეჭვი უნდა
შევეტკბობი ქვეყანასა,
ჰირნახულსაც ბევრს მოვიყვან
ფეტვს, სიმინდსა, ქერ-ყანასა.

მეტეხელი გლეხი ალექსი მირზაშვილი

## ა ჭ ა რ ა

(შემდეგი *)

ახლა შევუდგები აჭარის სოფლების აღწერას: აჭარის სოფლები იწყება აღმოსავლეთით შუა—ხევს ქვემოდგან და მიემართება კახაბრამდე. ჩვენ დავიწყებთ აჭარ-წყლის მარჯვენა მხრის სოფლების აღწერით და მერე მარცხენა მხარეს მივუბრუნდებით.

1, დანდალო. 50 კომლი. ძველად გამოჩენილი სოფელი, ჩვენს ისტორიაში ცნობილი. ვახუშტის თქმით, დანდალომდის მტბეთის ეპისკოპოსის სამწყსოდ ითვლებოდა და დანდალოს ქვემოდ ქუთათელისა. დანდალოს ერთობ დიდი ადგილები და მთები ეკუთვნის, ამ სოფლის წინ, აჭარ-წყალზედ, ძველი ხიდია დღევანდლამდე დაშთენილი. აქ ამბობენ, რომ ეს ხიდი თამარ მეფის ნაშენიაო. ამ ხიდის გვერდით დღეს სხვა ახალი ხიდი გაუკეთებიათ. ხიდს ახლოს ძველად ეკკლესიაც ყოფილა, დღეს ეკკლესიისა მარტო საძირკველი-ღა სჩანს. აქა-იქ ცარიელი ქვევრები, საფლავები და საფლავის ქვები მოჩანს. ამ სოფელში სცხოვრებენ ძველი აზნაურის გვარები; მოწინავედ ავალიანნი ითვლებიან. პირველად აქ თევდორე ავალიანი გათათრებულა და ამიტომ ამ გათათრებულთ შთამომავალთათვის გვარად თევდორ-ოღლები უწოდებიათ. დღეს ავალიანადაც იხსენიებიან.

2, ჯალაბაშვილები. ძველად პატარა სოფელი იყო, მთლად ჯალაბაშვილებით დასახლებული. ესენი იყვნენ თევდორე ავალიანთ ყმები, გათათრებულ-იქმნენ თევდორე ავალიანის მეოხებით. დღეს აქ სხვა გვარის ხალხნიც სცხოვრობენ, 30 კომლია; 5 კომლი გადასახლდა ოსმალეთში. ჯალაბაშვილები-კი არა და ჯაბალაშვილები ქართლშიაც სცხოვრებენ.

3, გოგიაური. აქ სცხოვრობდნენ ძველად გოგიაშვილები. ავალიანთ ყმანი, ესენიც ამათის მეოხებით გათათრდნენ. დღეს სცხოვრობს აქ 20 კომლი, გადასახლდა 5 კომლი.

4, ზაქარიაძეები. 30 კომლი. გადასახლდა 10 კომლი. ზაქარაძეები მაჭახლის პირშიაც სცხოვრებენ, ესენი ძველად აზნაურები ყოფილან, ამათ აქ თავიანთი საგვარეულო კოშკიც ჰქონიათ. დღეს აღიები არიან, ზოგნი ბეგები. ზემოხსენებულ სოფელ ზაქარიაძეების მცხოვრებნი-კი გლეხნი არიან. ძველად ზოგი ზაქარიაძეთაგანი გაფრანგებულა; გაფრანგებულთაგანნი ზოგნი ართვინში სცხოვრებენ, ზოგნი სხვაგან. რუსების შესვლის დროს ართვინის კათოლიკეთა ეპისკოპოსათ ზაქარიანცი იყო, რომელმაც თავისი თავი ქართველთა შთამომავლად აღიარა. დროს მეოხებით ამ ფრანგთ დაჰკარგეს თავიანთი დედა ენა და გასომხდნენ, ზაქარიაძეებიც-ზაქარიანცებათ გადააკეთეს, ესენიც ავალიშვილთან ერთად გათათრებულან.

5, არსანაული. 20 კომლი. გადასახლდა 3 კომლი. წინად აქ სცხოვრებდნენ მხოლოდ არზანაძეები ავალიანთ ყმანი ამათის მეოხებითვე გათათრებულნი, დღეს არზანოღლებად იწოდებიან და სოფლის სახელი არსანაულიც აქედგან წარმოსდგაო. ამ სოფელში სხვა-და-სხვა გვარის ხალხნიც სცხოვრებენ.

6, გორგისული. 5 კომლი. გარდასახლდნენ ბევრნი. ძველად აქ სცხოვრებდნენ გიორგიძეები, მხნევაჟკაცნი ავალიანთ ყმანი, უკანასკნელ დროს ავალიანი შესყიდვით გათათრებულნი.

7, კოკიტაური. 40 კომლი. გარდასახლდა 2 კომლი. ამბობენ, ვითომც ძველად აქ კოკიტაშვილები ყოფილან, ყმანი ავალიანთა, ამათის ოსტატობითვე გათათრებულან. აქ სხვა გვარის ხალხნიც სცხოვრებენ.

8, გელიაშვილები. პატარა სოფელია. წინად აქა სცხოვრებდნენ გელიაშვილები, ავალიანთ ყმანი, ამათგანვე გათათრებულნი. დღეს გელეოღლებად იწოდებიან. სხვა გვარის ხალხიც სცხოვრებს.

9, ჩაბუჩაშვილები. პატარა სოფელია. ძველად ბაბუჩაშვილებად იწოდებოდნენ. ამავ სახელწოდებით მეორე დიდი სოფელიც არის, ამას ქვეით ნახავთ. ესენი იყვნენ ავალიანთ ყმანი და ამათგანვე გათათრებულან.

10, გეგელიძე. პატარა სოფელია. დღეს აქ გეგელიძეები გეგელოღლებათ იწოდებიან. ამ გვარს გარდა, სხვებიც სცხოვრებენ აქ.

11, კიკაშვილები. პატარა სოფელია, ავალიანთ შესყიდვით გათათრებულნი. კიკაშვილები ქართლშიაც არიან.

12, ძანაძეები. პატარა სოფელია ავალიანთ ყმანი, ამათგანვე გათათრებულნი.

13, ბალაძე. პატარა სოფელია. ავალიანთ ყმანი და ამათგანვე გათათრებულნი.

(შემდეგი იქნება.)

*) იხ. „ივერია“, № 18

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 იანვარი

**მარსელი.** მარსელზედ გაიარა ჩინეთის საგანგებო ელჩმა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიტყოს პარისსა, ბერლინსა, ვენასა და პეტერბურგში, რაგვარი საიმედო შედეგი მოჰყვება ევროპის სახელმწიფოთა ჩარევას ჩინეთ-იაპონიის ომის შეწყვეტის შესახებ.

**ბერლინი.** დღეს იმპერატორმა სამხედრო კრებაზედ რეფერატი წაიკითხა იმის შესახებ, რომ საჭიროა ჯარი და ფლოტი ერთად ჰმოქმედებდნენო; თავისის აზრის დასამტკიცებლად იმპერატორს ჩინეთ-იაპონიის ომიდგან მოჰყავდა დამასურათებელი ამბები.

**გრაცი.** სლავიანთა დეპუტატებმა განაცხადეს სეიმზედ, რომ სეიმის საქმეებში მონაწილეობას აღარ მივიღებთო და სხდომის დარბაზი დასტოვეს. მიზეზი შემდეგი იყო: გერმანელმა დეპუტატებმა უარი განაცხადეს იმ გიმნაზიის დაარსებაზედ, სადაც სლავიანური ენა გერმანულს ენასთან უნდა ყოფილიყო გათანასწორებული.

**ლონდონი.** რომიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ ნეაპოლიტანის პრინცისა და უელსის პრინცესას მოდის ქორწინება ამ მიმდინარე წელს მოხდება მაისშიო.

შანჰაიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ ვეი-ჰაი-ვეიში იაპონელებს ჩინეთის ორი სიმხედრო ჯავშნიანი გემი დაუძირავთ.

**კონსტანტინოპოლი.** რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენელებმა განუცხადეს ოსმალეთის მთავრობას, რომ მუშის ვილაიეტის მოხელენი ხელს გვიშლიან სასუნის საქმის გამოძიებაშიო.

**ბერლინი.** გაზეთ ,,Vorowrts“მა გამოაცხადა იმპერატორ ვილჰელმის მიწერილობა სამხედრო უწყების მიმართ; იმპერატორი სასტიკად ჰკიცხავს ჯარის კაცთა უდიერად მოპყრობას.

**სოფია.** ცანკოვი პრინცს ფერდინანდს დაუახლოვდა.

28 იანვარი

**ბერლინი.** ჯარისა და ფლოტის ერთად მოქმედების შესახებ რეფერატის წაკითხვამდის იმპერატორი და პრინცი ჰენრიხი ორის საათით ადრე მოვიდნენ აკადემიაში და ქარტებსა ჰსინჯავდნენ. რეფერატის წაკითხვას ორი საათი მოუნდა; იმპერატორმა დაწვრილებით განმარტა და ახსნა ფლოტის დანიშნულება, უფრო-კი სამხედრო ჯავშნიან გემებისა. რეფერატის წაკითხვას დაესწრო 500 აფიცერი.

**ლონდონი.** ადრესის გასწორება, რომელიც ჯეფრემ შეიტანა და რომელიც მწუხარებას აცხადებდა იმის შესახებ, რომ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია მეურნეობისა, მრეწველობისა და მუშათა სამწუხარო მდგომარეობისაო, უარ-ყოფილ იქმნა 272 ხმის უმეტესობით 261 ხმის წინააღმდეგ. მთავრობის უმეტესობას სულ 12 ხმა შეადგენს.

**შან-ჰაი.** ვეი-ჰაი-ვეი იაპონელთა ხელშია. ზღვის სიმაგრეები აღებულ იქმნა. ჩინელთა ფლოტი ზოგი განადგურებულია, და ზოგიც გამარჯვებულთა ხელშია.

29 იანვარი.

**პეტერბურგი.** „Новости“ იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროში კომისსია შესდგა, რომელმაც უნდა განიხილოს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კ. პ. იანოვსკის მიერ წარდგენილი პროექტი საშუალო სასწავლებლებში ცვლილების შეტანის შესახებაო. ამ პროექტის აზრით ყველა საშუალო სასწავლებლების პირველს ოთხს კლასში შეტანილი უნდა იქმნას პროგრამა, რომლითაც ძველი ენების სწავლება მხოლოდ მეხუთე კლასიდგან დაიწყება, ისიც ყველა გიმნაზიებში-კი არა, მხოლოდ ზოგიერთში.

„Новое Время“-ს ატყობინებენ ლონდონიდგან დეპეშით, რომ იაპონიას გადაუწყვეტია, კორეს სამხედრო ნავთ-სადგური არტური და ტალიონავანი თავისთვის დაინარჩუნოს. იაპონელები ჰფიქრობენ თურმე, არტური ისევე გაამაგრონ, როგორც გიბრალტარი; განზრახვა აქვს ამასთან თურმე გააძლიეროს თავისი ფლოტი, რომ ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულ ფლოტთან შებმა შეეძლოს. გარდა ამისა იაპონია პირდაპირ აცხადებს თურმე, რომ იგი არ მოითმენს ევროპის სახელმწიფოთა ჩარევას და ქომაგობას მისსა და ჩინეთს შორის მომხდარს ომშიო.


## განცხადებანი

ხ ა რ კ ო ვ შ ი

„რიბნი“ ქუჩაზედ
გაიმართა ს ა ს ტ უ მ რ ო

„რუსია“

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხანის ,,ვალდშლოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში.

ელისაბედის ქუჩაზედ, სახლი № 25

დაარსდა

ახალი სასტუმრო

,,ბ ა ქ ო“.

ოთახები სუფთად და რიგიანად არის მოწყობილი, ფასებიც შედარებით ნაკლებია. სისუფთავისა და მოსამსახურის ერთგულების თავდებია თვით სასტუმროს პატრონი:

(3—849—3)

ექვთიმე კვაჰაძე.

ფრანგულის ენის კარგად მცოდნე ქართველი ყმაწვილი კაცი ამზადებს მსურველთ. ადრესი ,,ივერიის“ რედაქციაში. (4—6.—4)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი.** ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. ბრიოტასკევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

„ИАКОРИ“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კი თვით დაზღვეული თანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.